ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.	
	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ნაპირსამაგრების აღდგენითი სამუშაოები, საყრდენი კედლების რეაბილიტაცია. დაფინანსდება სოფ. ძეგვში სტიქიის შედეგად დაზიანებული წყალმომარაგების სათავე - ნაგებობის რეაბილიტაცია; სოფ. წეროვანში, მდინარე ნარეკვავის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები;	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დროულადაა აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები; დროულად უზრუნველყოფილია მგზავრთა კომფორტული, უსაფრთხო გადაადგილება და შემცირებულია მგზავრობის დრო;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა
	02 11	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
ქვეპროგრამის მიზანი	მოქალაქეთა ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილების და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისთვის. მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ, განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები.	

მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა; გათვალისწინებულია მოსახლეობის აზრი საკუთარი დასახლების პრობლემების გადაწყვეტაში;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა
	02 12	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის მოვლა	
ქვეპროგრამის აღწერა	დაგეგმილია სპეციალიზირებული ტექნიკის შეძენა: ნაგავშემკრები, მარილმომყრელი, ელექტროსატვირთო, თვითმცლელი და სხვა.	
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი, დასუფთავებული ტერიტორია და ინფრასტრუქტურა	

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6,412.3 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	6,412.3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4,750.0
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	1,560.0
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	460.0
03 02 02	მწვანე ნარგავების გაშენება	1,100.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	102.3

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
	03 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“	



პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იმეცნ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებისა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცალკეული ტერიტორიის მწვანე საფარის, ქუჩების, გზების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა 45 კმ-ზე კასპის ნაგავსაყრელზე, სანაგვე კონტეინერების მოვლა-პატრონობა, გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო საშუალებების განხორციელება; ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის დროს ნიაღვრისგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება (კონტეინერების შეძენა) მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა. პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები მოიცავს ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ადმინისტრაციულ ხარჯებს.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა
	03 02 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“	
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა.	
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორია. მუნიციპალიტეტში მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად იქნება ჩატარებული სხვადასხვა სახის სამუშაოები: მწვანე საფარის მოთიბვა, ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, გადამხმარი და დაზიანებული ხე-მცენარეების ამოძირკვა და გატანა, ხე-მცენარეების გადაბეღვა, ხე-მცენარეების შეხვევა/გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების დარგვა, მოწყვცა, შეწამლა, საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხე-მცენარეების ირგვლივ შემოზარვა, გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა;	
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების გაშენება
	03 02 02	
პროგრამის		



განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა.
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორია, განხორციელდება ხეების გადაბეღვა.
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	
	03 04		
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის მიზანი	უმეტევალყურეოდ დარჩენილი ძაღლები მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება		
პროგრამის აღწერა	დაგეგმილია უმეტევალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: მათი ჰუმანური წესით დაჭერა, დეჰელმენტიზაცია, სტერილიზაცია, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია საერთაშორისოდ აღიარებული (TVNR) მეთოდოლოგიით და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვება ან იზოლაცია; მოსახლეობის შეტყობინებაზე დროული და ეფექტური რეაგირება;		
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია უმეტევალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 12,097.8 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
04 00	განათლება	12,097.8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	11,000.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	147.0
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	950.8



პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა
	04 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“	
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელოთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა, ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.	
მოსალოდნელი შედეგი	საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის ფუნქციების განხორციელება, არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების შეუფერხებელი ფუნქციონირება	

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა
	04 02	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა.	
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება. დაფინანსდება მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საქვებების გარეთ გამოტანა;	
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საბავშვო ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა; სკოლამდელი დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.	

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა
	04 04	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია; მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური	
პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა და მაღალი აკადემიური მოსწრების სტიმულირება;	



პროგრამის აღწერა	განათლება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სკოლის მოსწავლეების სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მათი მოტივირება, ვინაიდან მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეებს წახალისებს ფულადი ჯილდოთი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების უზრუნველყოფა ტრანსპორტით დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით;
მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლების მოსწავლეების მაღალი აკადემიური მოსწრება; ტრანსპორტით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლების მოსწავლეები;

მუხლი 16 . კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7,496.0 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	7,496.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	4,834.7
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	3,104.0
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	500.0
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	447.0
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	835.0
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	422.0
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	800.0
05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	100.0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,730.7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,661.4
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	2,242.0
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	2,200.0
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1.4
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0



05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	398.0
----------	--	-------

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება
	05 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“; ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“; ა(ა)იპ „უმადლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“; ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“; ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“; ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური.	
პროგრამის მიზანი	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.	
პროგრამის აღწერა	ფიზიკური აქტივობა აუცილებელია ადამიანისათვის, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, აძლიერებს იმუნიტეტს და ავითარებს ტვინის უჯრედებს, ხელს უწყობს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებას, სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად. ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდებ დაავადებები). დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღ გასართობთა მზარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტელევიზორი და სხვა). აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას. პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება ფეხბურთის, კანოესა და ნიჩბოსნობის, ჭიდაობის, სპორტის სხვადასხვა სახეობის, საცურაო სპორტის, რაგბის განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა სახეობებში საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა.	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები; მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 01	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა “	



ქვეპროგრამის მიზანი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ ბაზაზე მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება. სკოლაში ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ფუნქციონირებს 19 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი), სადაც ჩარიცხულია 380 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს 9 სოფელში და ქ. მცხეთაში. სკოლის 6 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას იღებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში. 14 ჯგუფი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ პირველობაზე 3 ასაკობრივ კატეგორიაში.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა, გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კანონსა და ნიჭოსნობის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 02	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანონსა და ნიჭოსნობის აკადემია“	
ქვეპროგრამის მიზანი	წლის ნებისმიერ პერიოდში აკადემიის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი შეჯიბრებებისთვის; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება.	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნიჭოსნობის სხვადასხვა სახეობის (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) განვითარება. აკადემიაში 13 ჯგუფში ნიჭოსნობას ეუფლება 110 სპორტსმენი. ქვეპროგრამის ფარგლებში ეწყობა ტურნირები, მათ შორის „მცხეთობა-სვეტიცხოვლობის” დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციული ტურნირი. აკადემიის სპორტსმენები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის გარეთ.	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ნიჭოსნობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართულობა; გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები; წარმატებული გამოსვლა ეროვნულ ჩემპიონატებში და საერთაშორისო შეჯიბრებებში	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 03	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „უმალესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“	
ქვეპროგრამის მიზანი	ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია, ბავშვთა და მოზარდთა (ჭაბუკები, კადეტები და ახალგაზრდები) მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში.	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო -საწვრთნელი საქმიანობა ორ ეტაპად: დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო. სკოლაში მოქმედებს სამი ასაკობრივი ჯგუფი: 6-დან 18 წლამდე (ჭაბუკები), 18-დან 20 წლამდე (ახალგაზრდები) და 20-დან 23 წლის ჩათვლით (კადეტები). ირიცხება 596 მოსწავლე (მ.შ. 18 გოგონა). სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში.	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 04	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“	
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტის სხვადასხვა სახეობების - ჭადრაკის, კარატეს, ტაეკვანდოს, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის შერეული ორთაბრძოლების - პოპულარიზაცია; მასობრივი სპორტის სახეობების განვითარება.	
ქვეპროგრამის აღწერა	სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 17 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი (კარატეს - 5, ველოსპორტის - 4, კრივის - 2, კალათბურთის - 2, ფრენბურთის - 1, ტაეკვანდოს - 1, შერეული ორთაბრძოლების - 1, ჭადრაკის - 1) კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სადაც მეცადინეობს 310 მოსწავლე (192 ვაჟი, 118 გოგონა).	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ფიზკულტურასა და სპორტში; გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა
	05 01 01 05	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“	
ქვეპროგრამის მიზანი	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, რათა მთლიანობაში კომპლექსი გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.	
ქვეპროგრამის აღწერა	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საკმთანობაში, საცურაო აუზების შესაბამისი ექსპლუატაცია, რათა საცურაო აუზები გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საკმთანობაში	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	
	05 01 01 06		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი“		
ქვეპროგრამის მიზანი	რაგბის კლუბის ჩამოყალიბება და განვითარება; სარაგბო სპორტული ღონისძიებების მოწყობა და ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობა;		
ქვეპროგრამის აღწერა	რაგბის კლუბის ჩამოყალიბების და მისიის განვითარების მიზნით განხორციელდება რაგბის კლუბის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.		



მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერის აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა
	05 01 02	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია , მასობრივი სპორტის განვითარების და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდა, საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.	
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტის სხვადასხვა სახეობებში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა.	
	დაფინანსდება სოფ.მუხრანში საჭიდაო დარბაზის ეზოს კეთილმოწყობა; ქ. მცხეთაში, თეატრონის მიმდებარედ საკალათბურთო ღია მოედნის მოწყობა, სპორტული მოედნების რეაბილიტაცია; სოფ. გალავანში, არჩილ ჩოხელის სახელობის საჭიდაო დარბაზის მიშენება-რეაბილიტაცია; სოფ. ნავდარაანთკარში კრივის დარბაზის მიშენება-რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, სპორტული მოედნის (მარანი ჰოლის მიმდებარედ) რეაბილიტაცია;	
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.	
	სპორტის პოპულარიზაცია.	

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება
	05 02	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“; სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“; ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“;	
პროგრამის მიზანი	სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.	
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში რეგულარულად იმართება კულტურული ღონისძიებები, რაც მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს. პროგრამის მეშვეობით განხორციელდება კულტურის პოპულარიზაცია და გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა, დაცული იქნება თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, ადგილობრივ ხელოვნებას მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვა და სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვის და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება. კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნების და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება ა(ა)იპ „კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“-ს, ა(ა)იპ " მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"-ს, სსიპ „ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმი“-ს ფუნქციონირების ხელშეწყობა; კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა; რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;	



მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა
	05 02 01 01	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“	
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული მრავალფეროვნების წახალისება, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ემსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს და მათ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების ხელშეწყობა-განვითარებას, რომელიც მოიცავს საფინანსო-საორგანიზაციო დაგეგმარებით საკუთარი შემოსავლების ზრდას. აღნიშნული მოხმარდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თანამედროვე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებას. ფინანსური და სასწავლო პროგრამული რესურსი თანაბრად განაწილდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულზე. განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გაიზრდება მოსწავლე-ახალგაზრდების კონტინგენტი, კულტურათმშობის დიპლომი მუნიციპალიტეტებს შორის, განმტკიცდება საერთაშორისო კავშირები (ფესტივალი, კონკურსი, კონცერტი, გაცვლითი პროგრამები, ფლემ მობები და სხვა) - რაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით არამარტო კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობაა, არამედ ტურიზმის, ეკონომიკის და სოციალური მდგომარეობის. ქვეპროგრამა ხელს უწყობს კულტურული ცენტრებში ქალების/გოგონებისა და კაცების/ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება; მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. წახალისებული კულტურული მრავალფეროვნება უზრუნველყოფილია მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმების ხელშეწყობა
	05 02 01 04	
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“	
ქვეპროგრამის მიზანი	სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს ფუნქციონირების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის აღწერა	სახლ-მუზეუმის კომპლექსი მოიცავს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საცხოვრებელ სახლს დამხმარე ნაგებობებით და ჭავჭავაძისეულ მამულს ბაღ-ვენახით. მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მწერლის მემორიალური ნივთები, მე-19 საუკუნის ქართული კულტურის წარმომადგენელთა ფოტოპორტრეტები და ეპოქის ყოფის ამსახველი ფოტომასალები, მწერლის ხელნაწერები, მისივე გამოცემული პერიოდიკის ნიმუშები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს კომუნალური ხარჯების დაფინანსება	
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს გამართული ფუნქციონირება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	
	05 02 04		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილია ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიები;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
	05 02 05	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებათა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობაში ჩართულობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა და მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა - განხორციელება; ტურიზმისა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტებისა და სტრატეგიების შემუშავება; ზედაპირული არქეოლოგიური კვლევით არტეფაქტების გამოვლენა-შენარჩუნება; ტექნიკური და ინსტიტუციური ღონისძიებებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვიზიტორთათვის მეტი სარგებლიანობის და ცენტრის შესაბამისი საორგანიზაციო ხარჯების უზრუნველყოფა.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ობიექტების ფიქსაცია. კულტურულის მემკვიდრეობის ჯეროვანი წარმოჩენებით ახალი ტურისტული მარშრუტების ორგანიზება, რაც გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას და შესაბამისად, ფინანსურ შემოდიანებასაც.	

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის 4 123,2 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით: ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,123.2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,921.1
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	453.0
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	1,468.1
06 02	სოციალური დაცვა	2,202.2
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,763.6
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	100.0
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	65.0
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	100.6
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	164.0
06 02 07	პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა	5.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
	06 01 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	
ქვეპროგრამის მიზანი	სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი; ცნობიერების ამაღლება და სამიზნე პოპულაციაში ადრეული ავადობის გამოვლენა, გეგმიური იმუნიზაციის დროული მართვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა	
ქვეპროგრამის აღწერა	სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად; სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, სამოქმედო ტერიტორიაზე ვაქცინების, შრატების და ასაცრელი მასალების გადაცემა და მართვა ლოჯისტიკის მოდულით, 5-10 წლამდე ბავშვების კვლევა ჰელმითებზე და სამკურნალო პრეპარატებით უზრუნველყოფა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის მეთვალყურეობა და ტესტ-სისტემებით სკრინინგი, ც ჰეპატიტის და შიდსის სკრინინგული კვლევა და დადებითი სტატუსის მქონე პირების მიდევნება; კოლოებით, ტკიპებით, ფლებოტომუსებით და სხვა ვექტორებით გადაცემადი პარაზიტული ინფექციების გადამტანი მწერების კერებში პროფილაქტიკური დეზინსექცია.	
მოსალოდნელი შედეგი	ეპიდსიტუაციის მართვა, სკრინინგული კვლევებით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების მკურნალობის ეფექტურობის ამაღლება, სამოქმედო ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შექმნა	

პროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება
	06 01 02	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	



ქვეპროგრამის მიზანი	ხელმისაწვდომი ჯანდაცვა
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართიც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის მცხეთის მუნიციპალიტეტი და არ ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტის მიერ) სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით. ა) დაფინანსების ზედა ზღვარი შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს დარჩენილი აქვს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე, ხოლო 5000 (ხუთი ათასი) და მეტის შემთხვევაში - 3000 (სამი ათასი) ლარს, გარდა იმ საგამონაკლისო ჯგუფებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამით. ბ) 501 ლარამდე გადაწყვეტილებას იღებს კომისია; გ) 501 ლარიდან 3000 ლარამდე დაფინანსებაზე თანხმობის მისაღებად, კომისიის და/ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობის გათვალისწინებით, კომისია მიმართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. დ) 151 ლარამდე ღირებულების სამედიცინო მომსახურება არ ფინანსდება, (გარდა პრიორიტეტული ჯგუფებისა); სამედიცინო მომსახურების 100%-მდე (501 ლარიდან 3000 ლარამდე) დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია. წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურებისთვის ბენეფიციარზე გაცემული თანხის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 (ოთხი ათასი) ლარს. ● აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების დახმარება კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით (კონკრეტული ფსიქოთერაპია, ქვევითი თერაპია, მეტყველების თერაპია); პროგრამით მოსარგებლე პირზე დახმარება გაიცემა წელიწადში არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარისა; ● ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება - დაფინანსებას მიიღებს 18 წლამდე ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად) შესაბამისი დაწესებულებიდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის ან/და ანგარიშგაქტურის საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის კრიტერიუმებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეები უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა
	06 02 01	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის უზრუნველყოფა ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით;	
	ქვეპროგრამის ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის შესაბამისად, გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართიც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის მცხეთის მუნიციპალიტეტი და არ ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტის მიერ) დახმარება, კერძოდ: ● ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე პირების დახმარება - პროგრამით მოსარგებლე პირს საკრებულოს თანხმობით დროებით სარგებლობაში გადაეცემა ჟანგბადის აპარატი კანონით დადგენილი წესით. ● ცელიაკიის და ცისტური ფიბროზის მქონე პირების ფინანსური დახმარება - დახმარება გაეწევათ მოქალაქეებს, რომელთაც შესაბამისი დოკუმენტაციით დადგენილი აქვთ ცელიაკიის დაავადება, დახმარება გაიცემა კვარტალში ერთხელ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ● მესამე და მეტ შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება - პროგრამით მოსარგებლე პირი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც შეეძინა მესამე და მეტი შვილი. დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამით მოსარგებლე პირს ერთჯერადი ფინანსური	

ქვეპროგრამის აღწერა	დახმარება გადაეცემა შემდეგი ოდენობით:
	ა) მესამე შვილის შეძენის გამო - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ბ) მეოთხე შვილის შეძენის გამო - 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით; გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენის გამო - 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით; დ) ტყუპების (მესამე-მეოთხე და მეტი) შეძენის შემთხვევაში - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. • დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე პირების ფინანსური დახმარება, რომელიც გაიცემა კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სპეციალიზებულ დაწესებულებას (ე.წ. დღის ცენტრი) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ასევე, დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი პირების საკურორტო დახმარება; • ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - დახმარება გაეწევთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით და ხანძრით გამოწვეული შედეგებით დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადად 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე, ხოლო საცხოვრებელი სახლის დანგრევის ან მთლიანად განადგურების შემთხვევაში მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის წარდგინებით, საკრებულოს თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია დახმარების სახით გაიცეს არაუმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარისა. • ხანძრის და სხვა უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული და თავშესაფრის არმქონე პირების ქირით უზრუნველყოფა - ქირის საფასურის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 400 (ოთხასი) ლარით და პროგრამით მოსარგებლე პირს (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქე) დაუფინანსდება კომისიის მიერ დადგენილი ვადით, არაუმეტეს 6 თვისა. • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით აუნაზღაურდებათ იმ პირებს, რომლებიც გაიღებენ უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯებს. • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა - დახმარება გაიცემა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, 150 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე, წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარის ოდენობით. • 21 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებული პირების საკურორტო დახმარება, რომლის ფარგლებშიც მოსარგებლეები თავად ირჩევენ მომსახურების მიმწოდებელს; ერთ ბენეფიციარზე საკურორტო დახმარება გაიცემა წელიწადში არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. • საშენი მასალებით დახმარება - დახმარება გაეწევთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთაც მძიმე გარემოებათა გამო (გარდა ხანძარი, სტიქია) არ გააჩნიათ საშუალება, შეიძინონ საშენი მასალები. • დღის ცენტრით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა. • სასურსათო კალათით დახმარება დღესასწაულებთან დაკავშირებით - დახმარება გაეწევთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ გაჭირვებულ პირებს;
მოსალოდნელი შედეგი	ფინანსური დახმარებებით და სოციალური სერვისებით უზრუნველყოფილი სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი სოციალური დახმარება
	06 02 02	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;	
